ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 21

დ.ადიგენი 01.03 2019 წელი.

ერთის მხრივ, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის, ზაქარია ენდელაძის სახით, მის: დ.ადიგენი, თამარ მეფის ქუჩა №5 საიდენტიფიკაციო ნომერი: №222729162, ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022 ელ.ფოსტა: adigenigamgeoba@gmail.com (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „ნიში“ წარმოდგენილი შ.პ.ს „ნიში“-ს დირექტორის ბესიკ ნათენაძეს სახით, მისამართი: ქ. თბილისი აეროპორტის დას. კ. 41 ბ.16. საიდენტიფიკაციო ნომერი: №ს/კ 406051695 ტელეფონის ნომერი: +995 5 77 983 836 საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE25TB7693236080100001 ელ. ფოსტა: ltdnishi@gmail.com (შემდგომში მიმწოდებელი) წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" საფუძველზე .

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები ხელშეკრულებაში**

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „მარშრუტი“ - ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე გასავლელი პუნქტების ერთობლიობა.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი:

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საჯარო სკოლ(ებ)ის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება (CPV:60170000) შესყიდვა.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები:

3.1. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი მარშრუტის მიხედვით ტექნიკურად გამართული, შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა. ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც გამორიცხავს

მოსწავლეთა ჯანმრთელობის ზიანს. ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, რომელიც მიუთითებს, რომ ხორციელდება ბავშვების გადაყვანა.

3.2. კონკრეტულ მარშრუტზე სატრანსპორტო საშუალების ტევადობა უნდა შეესაბამებოდეს სატრანსპორტო საშუალებაში სტაციონარულად დამონტაჟებულ სკამებზე დამჯდარ მდგომარეობაში გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობას. მარშრუტების რაოდენობა და სატრანსპორტო საშუალების ტევადობა შესაბამისობაში უნდა იყოს გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობასთან.

3.3. მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 წუთისა და არაუადრეს 40 წუთისა. ხოლო სკოლიდან წამოყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დასრულებიდან - არაუგვიანეს 40 წუთისა.

3.4. ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა მართავდნენ შესაბამისი მართვის უფლების მქონე მძღოლები.

3.5. სატრანსპორტო საშუალებით მოსწავლეთა გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

3.6. ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა მოძრაობდეს იმ მარშრუტის შესაბამისად, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართში.

3.7. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველო: ადიგენის მუნიციპალიტეტი (დანართ N1-ში მითითებული მარშრუტების შესაბამისად).

3.8 იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ მარშრუტზე დაემატება გადასაყვანი მოსწავლეები, იმ რაოდენობით, რომ დანართი N1-ით განსაზრვრულ, რეკომენდირებული სატრანსპორტო საშუალებით შესაძლებელი იქნება მათი წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით გადაადგილება, ანგარიშსწორება განხორციელდება დანართით ფასთა ცხრილით განსაზღვრული ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ მარშრუტზე დაემატება იმდენი გადასაყვანი მოსწავლე, რომ რეკომენდირებული სატრანსპორტო საშუალებით მათი რაოდენობის გათვალისწინებით შეუძლებელი იქნება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით გადაყვანა, ადგილობრივ რესურსცენტრთან შეთანხმებით სავალდებულოა დაემატოს ახალი რეისი, რომლის ფარგლებშიც 1 კილომეტრ მანძლზე მოსწავლეთა გადაყვანის ღირებულება ტოლი უნდა იყოს (დანართი N2) დაფიქსირებული ერთ კილომეტრ მანძილზე მოსწავლეების გადაყვანის საშუალო ფასისა.

3.9 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრულია ყოველი კონკრეტული მარშრუტისათვის რეკომენდირებული სატრანსპორტო საშუალების ტიპი. ჯამური ღირებულებიდან გამოანგარიშდება ერთი კილომეტრის მანძილე მოსწავლეების გადაყვანის საშუალო ფასი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანგარიშსწორება.

3.10 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაემატება ახალი მოსწავლე, რომლის არსებულ მარშრუტებით სკოლამდე მიყვანა მიზანშეწონილი არ არის მარშრუტების ოპტიმიზაციისა და რაცინალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით შესაძლებელია, ადგილობრივ რესურსცენტრების თანხმობით დაემატოს ახალი მარშრუტი, რომლის ფარგლებში 1 კილომეტრ მანძლზე მოსწავლეთა გადაყვანის ღირებულება ტოლი უნდა იყოს ერთი კილომეტრი მანძილზე მოსწავლეების გადაყვანის საშუალო ფასისა.

3.11. მომსახურების ვადა: 2019 წლის პირველი მარტიდან 2019 წლის 26 აპრილის ჩათვლით, სასწავლო დღეების შესაბამისად.

3.12. სატრანსპორტო მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო კომპანიის მიერ განხორციელებული

იქნება მგზავრთა გადაყვანის პროცესში მოსწავლეების (მგზავრების) დაზღვევა ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ერთ მოსწავლეზე არანაკლებ 1500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობის სადაზღვევო თანხის ლიმიტით (დანართი N3).

4. ხელშეკრულების ღირებულება :

4.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 41144 (ორმოცდაერთიათასასორმოცდაოთხი) ლარს და 15 თეთრს. (ჯამში 34 სასწავლო დღეზე).

4.2. ერთეულის ფასები შესაბამისი საჯარო სკოლებისა და მარშრუტების მიხედვით გაწერილია დანართი N1-ში.

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ-ს).

5. ანგარიშსწორება:

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულება არ ითვალისწინებს წინასწარ ანგარიშსწორებას.

5.4 მერიის მხრიდან მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შესაბამისი უფლება მოსილების(სამსახური) პირი.

5.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს დაუქვითოს შემსყიდველის ან საჯარო სკოლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.5 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვით გაწეული დანახარჯების სრული მოცულობა.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები:

6.1.მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს სატრანსპორტო მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკრო ავტობუსი, მსუბუქი ავტომობილი, მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი, მინივენი) თითოეული პუნქტისათვის უნდა შეირჩეს გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობისა და ადგილის რელიეფის შესაბამისად. დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა. ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც გამორიცხავს მოსწავლეთა ჯანმრთელობის ზიანს. ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, რომელიც მიუთითებს, რომ ხორციელდება ბავშვების გადაყვანა.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია გაწეული მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარუდგინოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გააცნოს ყველა მძღოლს ავტომობილის ტექნიკური გამართულობისა და მოძრაობის უსაფრთხოების ნორმები და უზრუნველყოს მათი განუხრელი დაცვა.

6.4. თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს კონკრეტული მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას იგი ვალდებულია ერთი სამუშაო დღით ადრე აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მთლიან პერიოდზე (ვიდრე მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს მის შესრულებას) განახორციელოს სხვა მიმწოდებლისაგან მომსახურების შესყიდვა.

6.5. შემსყიდველი ან შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლა უფლებამოსილია მიმწოდებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოახდინოს სხვა მიმწოდებელისაგან მომსახურების შესყიდვა, თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას.

6.7. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს სხვა მიმწოდებელი, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მარშრუტით გათვალისწნებული მომსახურება, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს შემსყიდველს. შემსყიდველი მიღებული წერილის საფუძველზე, ორი სასწავლო დღის ვადაში, ახდენს სხვა მიმწოდებლის მეშვეობით მომსახურების შეწყვეტას.

6.8. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.9. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.10. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.11. ერთი სატრანსპორტო საშუალებით მოსწავლეთა ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 8 მარშრუტისა.

6.12 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 26 აპრილის ჩათვლით(პერიოდში) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს ,,მიმწოდებელს".

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

7.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძვლებია:

ა) მიმწოდებელსა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციას შორის გაფორმებული და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი (უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ) ტაბელი (დანართი N2 ტაბელის ფორმა), რომელიც ივსება ყოველდღიურად და შემსყიდველს წარედგინება მომსახურების დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი დასკვნა.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მიმწოდებლის მიერ ტაბელების წარმოდგენიდან არაუმეტეს 20 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური/პირი, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრების საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

8.2. შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური/პირი ვალდებულია ყოველი თვის ბოლოს, საჯარო სკოლებთან შეამოწმოს (გადაამოწმოს) მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურება და წერილობითი ფორმით აცნობოს შემსყიდველს (მუნიციპალიტეტს) შემოწმების შედეგების შესახებ.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემდგომი მომსახურების პერიოდში უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. ინტერესთა კონფლიქტი:

9.1. საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

10.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შემდეგი პრინციპით:

ა) ყოველი მარშრუტის ხარვეზით განხორციელებისას ან განუხორციელებისას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხარვეზით განხორციელებული ან განუხორციელებელი მარშრუტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების 5%-ის ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ვეღარ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას, აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

გ) სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) მომსახურების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

დ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვადაზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება.

ე) ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის 0.02%.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი მიერ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

1.4. „ხარვეზი“ - ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ხარვეზად ჩაითვლება თუ:

- მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 5 წუთის დაგვიანებით ან მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 40 წუთით ადრე;

•მოსწავლეთა სკოლიდან წამოყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დასრულებიდან 40 წუთის დაგვიანებით.
•თუ სატრანსპორტო საშუალების ტევადობა ნაკლები იქნება გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობაზე.
• თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული წინასწარ დათქმული ადგილებიდან საჯარო სკოლამდე და სკოლიდან უკან მოსწავლეების გადაყვანა არ განხორციელდება ხელშეკრულების დანართში მითითებული კონკრეტული მარშრუტების მიხედვით და თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე არ გაივლის კონკრეტულ მარშრუტში მითითებულ ყველა პუნქტს.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა:

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებს, სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. ფორს-მაჟორი:

12.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა/ხარვეზით შესრულება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

13.1. დადებული ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია შეიცვალოს ახალი მარშრუტების დამატების, არსებული მარშრუტების ოპტიმიზაციის ან/და გაუქმების ან/და გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილების გათვალისწინებით.
13.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა 10%-ის ფარგლებში შესაძლებელია ,,შემსყიდველთან" შეთანხმების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
14.3. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი და მიმწოდებელი ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი/ შეცვლილი მარშრუტის გრაფიკს ან გააუქმებენ კონკრეტულ მარშრუტს, მიმწოდებელმა წარმოდგენილი ცვლილება უნდა გაითვალისწინოს მომდევნო სამუშაო დღიდან.

13.4. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელს განუსაზღვრავს ახალი/შეცვლილი მარშრუტს ან გააუქმებს კონკრეტულ მარშრუტს, მიმწოდებელმა წარმოდგენილი ცვლილება უნდა გაითვალისწინოს მომდევნო სამუშაო დღიდან.
13.5. შემსყიდველი უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს მარშრუტების ოპტიმიზაციას, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული მარშრუტები შეიძლება გაუქმდეს როგორც მომსახურების დაწყებამდე, ასევე, მომსახურების დაწყების შემდეგ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15. სხვა პირობები:

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
15.2.ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
ხელშეკრულება ინახება „მიმწოდებელთან“, და „შემსყიდველთან“.
15.3. მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით(შტამპი/ელ.ხელმოწერა).

16. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი"

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, მის: დ.ადიგენი, თამარ მეფის ქუჩა №5 საიდენტიფიკაციო ნომერი: №222729162, ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22 ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022 ელ.ფოსტა: adigenigamgeoba@gmail.com

მუნიციპალიტეტის მერი ზაქარია ენდელაძე

ADIGENI MUNICIPALITY
Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY
Date: 2019.03.01 14:28:29 +04'00'

,,მიმწოდებელი"

შ.პ.ს „ნიში“, მისამართი: ქ. თბილისი აეროპორტის დას. კ. 41 ბ.16. საიდენტიფიკაციო ნომერი: №ს/კ 406051695 ტელეფონის ნომერი: +995 5 77 983 836 საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE25TB7693236080100001 ელ. ფოსტა: ltdnishi@gmail.com

დირექტორი ბესიკ ნათენაძე

LTD NISHI
Digitally signed by LTD NISHI
Date: 2019.03.01 14:53:09 +04'00'

N	სკოლა	დრო (დანიშნულების ადგილზე მიყვანის/დანიშნულების ადგილიდან წამოყვანის დრო)	*მარშრუტი (საწყისი წერტილიდან სკოლამდე და უკან)	ბავშვთა რაოდენობა	საავარაუდო მანძილი კმ.	საავარაუდო დღეების რაოდენობა კონტრაქტის პერიოდში	შენიშვნა	**მარშრუტების რაოდენობა	მარშრუტის ღირებულება დღე	მარშრუტის სრული საორიენტაციო ღირებულება	****გზები	1 გზის ფასი
1	დაბა ადიგენის საჯარო სკოლა	9:00:00 AM;3:15:00 PM	სოფელი ადიგენი-დაბა ადიგენის საჯარო სკოლა	48	5	34	-	3	55.50	1887.00	6	**9.2500**
2	დაბა ადიგენის საჯარო სკოლა	9:00:00 AM;3:15:00 PM	სოფელი ჩორჩანი-დაბა ადიგენის საჯარო სკოლა	28	8	34	-	2	59.20	2012.80	4	**14.8000**
3	დაბა ადიგენის საჯარო სკოლა	9:00:00 AM;3:15:00 PM	სოფელი იმერთუბანი-დაბა ადიგენის საჯარო სკოლა	23	5	34	-	2	37.00	1258.00	4	**9.2500**
4	დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 3:00:00 PM	არაზინდო-ზეკარი-დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა	11	12	34	-	1	44.40	1509.60	2	**22.2000**
5	დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 3:00:00 PM	ობსერვატორია-დაბა აბასთუნის საჯარო სკოლა	5	14	34	-	1	51.80	1761.20	2	**25.9000**
6	სოფელ ჭელას საჯარო სკოლა	9:00:00 AM;3:15:00 PM	სოფელი საირმე-სოფელ ჭელას საჯარო სკოლა	7	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
7	სოფელ წახანის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 3:20:00 PM	სოფელი ქიქინეთი-სოფელ წახანის საჯარო სკოლა	10	8	34	-	1	29.60	1006.40	2	**14.8000**
8	სოფელ ვარხანის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 3:00:00 PM	წახანიდან - ხარუამის გავლით - ვარხანის საჯარო სკოლა	16	6	34	-	1	22.20	754.80	2	**11.1000**
9	სოფელ ზანავის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:30:00 PM	სოფელი პატარა ზანავი-სოფელ ზანავის საჯარო სკოლა	18	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
10	სოფელ ზანავის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:30:00 PM	სოფელი გომარო-სოფელ ზანავის საჯარო სკოლა	17	5	34	-	1	18.50	629.00	2	**9.2500**
11	სოფელ ბენარის საჯარო სკოლა	9:00:00 AM;3:00:00 PM	უნწა-სოფელ ბენარას საჯარო სკოლა	22	4	34	-	2	29.60	1006.40	4	**7.4000**
12	სოფელ ბენარის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 3:00:00 PM	სოფელი ბენარა-სოფელ ბენარას საჯარო სკოლა	18	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
13	სოფელ ბენარის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 3:00:00 PM	შოლავერიდან - ბენარის საჯარო სკოლა	18	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
14	სოფელ ხვავშინის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 2:15	ნაქურდევიდან-სოფელ ხვავშინის საჯარო სკოლა	4	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
15	სოფელ ლელოვანის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:30:00 PM	იღარეთიდან-იმერთუბანი-ლელოვანის საჯარო სკოლა	40	6.2	34	-	2	45.88	1559.92	4	**11.4700**
16	სოფელ ლელოვანის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:30:00 PM	ღორბიდან-სოფელი სამყური-ლელოვანის საჯარო სკოლა	10	9.2	34	-	1	34.04	1157.36	2	**17.0200**
17	სოფელ ლელოვანის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:30:00 PM	ამხერი-ლელოვანის საჯარო სკოლა	3	4.6	34	-	1	17.02	578.68	2	**8.5100**
18	სოფელ ფხიროს საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:25:00 PM	ზემო ენთელი-ფხიროს საჯარო სკოლა	13	6	34	-	1	22.20	754.80	2	**11.1000**
19	სოფელ ფხიროს საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:25:00 PM	შოყიდან-ფხიროს საჯარო სკოლა	8	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
20	სოფელ დერეველის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:20:00 PM	კიკიზო-დერეველის საჯარო სკოლა	8	11.22	34	-	1	41.51	1411.48	2	**20.7570**
21	სოფელ კახარეთის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:25:00 PM	ღორმედან - სამყურის გავლით - კახარეთის საჯარო სკოლა	22	15	34	-	2	111.00	3774.00	4	**27.7500**
22	სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:40:00 PM	კახარეთიდან - დიდი სმადის საჯარო სკოლა	7	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
23	სოფელ დიდი სმადის საჯარო სკოლა	9:30:00 AM;2:50:00 PM	პატარა სმადა - დიდი სმადის საჯარო სკოლა	36	7	34	-	2	51.80	1761.20	4	**12.9500**
24	სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა	10:00:00 AM; 4:25	უტყისუბანი-ზარზმის საჯარო სკოლა	7	14	34	-	1	51.80	1761.20	2	**25.9000**
25	სოფელ არალის საჯარო სკოლა	9:00:00 AM; 3:15	წარაბასთუმანი-არალის საჯარო სკოლა	3	7	34	-	1	25.90	880.60	2	**12.9500**
26	სოფელ მლაშის საჯარო სკოლა	10:00:00 AM; 4:25	არზნე-მლაშის საჯარო სკოლა	7	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
27	სოფელ მლაშის საჯარო სკოლა	10:00:00 AM; 4:26	ზარზმა-მლაშის საჯარო სკოლა	14	4	34	-	1	14.80	503.20	2	**7.4000**
28	სოფელ მოხის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 13:50	ნამინაური-მოხის საჯარო სკოლა	22	6.32	34	-	2	46.77	1590.11	4	**11.6920**
29	სოფელ მოხის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 15:10	ციხისუბანი-მოხის საჯარო სკოლა	29	4	34	-	2	29.60	1006.40	4	**7.4000**
30	სოფელ მოხის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 15:10	ჭეკა-ჭეჭლა-მოხის საჯარო სკოლა	17	20	34	-	1	74.00	2516.00	2	**37.0000**
31	სოფელ მოხის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 15:11	კეხოვანი-მოხის საჯარო სკოლა	13	12	34	-	1	44.40	1509.60	2	**22.2000**
32	სოფელ მოხის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:30:00 PM	დერეველი-მოხის საჯარო სკოლა	8	16	34	-	1	59.20	2012.80	2	**29.6000**
33	სოფელ მოხის საჯარო სკოლა	9:30:00 AM; 3:30:00 PM	აფიეთი-ღორთუბანი-მოხის საჯარო სკოლა	22	10	34	-	2	74.00	2516.00	4	**18.5000**

დანართი N1

ვაჭრობა იმართება სამარშრუტო კმ.-ის ფასზე. კმ.-ის ფასი დამრგვალებული უნდა იყოს უახლოეს მეასედამდე. ეხრილში შეცვლას ექვემდებარება მხოლოდ კმ.-ის ფასი და გზების რაოდენობა
***სამარშრუტო კილომეტრის ფასი
3.70
ჯამური ღირებულება
41144.15

***მარშრუტი**

მარშრუტი მოიცავს მოსწავლეების საწყისი წერტილიდან სკოლამდე მიყვანას და უკან (გარდა პანსიონატებისა, სადაც მარშრუტად ითვლება მხოლოდ წაყვანა ან მხოლოდ წამოყვანა). მოცემული საორიენტაციო კილომეტრაჟი ითვალისწინებს როგორც ბავშვების წაყვანის, ასევე მათი მოყვანის დისტანციას

****მარშრუტების რაოდენობა**

მარშრუტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება გადასაყვანი ბავშვების რაოდენობით. თითო მარშრუტის მოცულობა ითვლება 20 მოსწავლის ჩათვლით

*****სამარშრუტო კილომეტრის ფასი**

სამარშრუტო კილომეტრის ფასი არის მარშრუტის ერთი კილომეტრის ღირებულება. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული გზების რაოდენობა სამარშრუტო კილომეტრის ფასზე გავლენას არ ახდენს

******გზების რაოდენობა**

გზების რაოდენობა განისაზღვრება როგორც თითოეული გზა რომელიც მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს მარშრუტის შესასრულებლად. მაგ.: თუ მიმწოდებელი ასრულებს პირველ მარშრუტს 2 სატრანსპორტო საშუალებით და ყველა ბავშვი ეტევა 2 სატრანსპორტო საშუალებაში, მაშინ გზების რაოდენობა იქნება ოთხი (2 სკოლაში მიყვანა და 2 სკოლიდან წამოყვანა)